პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №----

ქ. ოზურგეთი „----“ თებერვალი 2022 წ.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი 14/06/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.113.016357) და დადგენილების მე-2 მუხლიდან ამოღებული იქნეს „ე“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის შემუშავების საფუძველია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები (ამოქმედდა 2022 წლის 1-ლი იანვრიდან N1197-VIIრს-Xმპ, N1193-VIIრს-Xმპ), კერძოდ ადგილობრივ მოსაკრებელს განეკუთვნება „სათამაშო ბიზნესის **(გარდა ლატარიის მოწყობისთვის დადგენილისა)** მოსაკრებელი“, ასევე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, **გარდა ლატარიის მოწყობისთვის დადგენილისა**, არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო ლატარიის მოწყობისთვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებით (მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) განსაზღვრული იყო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%.

გამომდინარე აქედან, ნორმატიული აქტის (საკრებულოს დადგენილების) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებიდან ამოღებული იქნა ის სამართლებრივი ნორმა, რომლითაც განსაზღვრული იყო ლატარიების მოწყობაზე მოსაკრებელი. აღნიშნულით პროექტი შესაბამისობაში მოდის მითითებულ საკანონმდებლო აქტებთან.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის ----------.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

6. პროექტის ავტორია:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.